

თქვენ წინაშეა ბროშურა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრებისა და მეწარმეობის სწავლებით დაინტერესებული მასწავლებლებისთვის შეიქმნა.

ბროშურა დაგეხმარებათ „მეწარმეობის გაკვეთილების კრებულის“ 5 ბლოკში მოცემული აქტივობების მიზნობრივად და თანმიმდევრულად წარმართვაში.

ბროშურაში თითოეული ბლოკის აღწერა იწყება მცირე შესავლით, დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან კავშირითა და ბლოკის საკვანძო შეკითხვებით. ამას მოსდევს პუნქტებად ჩაშლილი პრაქტიკული რჩევები და მინიშნებები მეწარმეობის გზამკვლევის გამოსაყენებლად.

იმედია, ეს კომპაქტური დანართი გაგიადვილებთ მეწარმეობისა და ინტელექტუალური საკუთრების მასალის წარმატებით შეტანას სასწავლო პროცესში.



ბლოკი 1. შესავალი მეწარმეობაში

პირველი ბლოკის გაცნობა დაგეხმარებათ მეწარმეობრივი საქმიანობის არსის, მნიშვნელობის გაცნობიერებასა და მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაში.

პირველი ბლოკის მიმართება დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან.



პირველ ბლოკში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვანძო კითხვებს:

რა მნიშვნელობა აქვს მეწარმეობრივ საქმიანობას ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მათი პიროვნული განვითარების პროცესში?

რა მნიშვნელობა აქვს მეწარმეობრივი საქმიანობის გაცნობიერებას საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვის პროცესში?

როგორ და რატომ უწყობს ხელს მეწარმეობრივი საქმიანობა საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას?

- პირველი ბლოკის მთავარი თემებია: რა არის მეწარმეობა? ვინ არის მეწარმე? რა აყალიბებს მეწარმეს? რა უნარებია საჭირო იმისთვის, რომ იყოთ წარმატებული მეწარმე? (გვ.5-6)
- გაეცანით მეთოდურ რეკომენდაციებს და თავადაც გააანალიზეთ, რატომ უნდა გახდეთ მეწარმე? რა სარგებლის მოტანა შეუძლია სამეწარმეო საქმიანობას და რა რისკები ახლავს მას? (გვ. 7)
- პირველ ბლოკში მოცემული სამუშაო ფურცელი დაგეხმარებათ მოსწავლეთათვის შეთავაზებული აქტივობების ეფექტურობის განსაზღვრასა და მათზე რეფლექსიაში. (გვ. 8)
- გაეცანით მოსწავლეებს წარმატებულ ახალგაზრდა ევროპელ მეწარმეთა პროექტები, რომლებიც მეწარმეობრივი საქმიანობით დაინტერესებას და მთაგონებას გამოიწვევს. (გვ. 10-13)
- პირველ ბლოკში მოცემული პასუხების ფურცელი დაგეხმარებათ მოსწავლეთა სამეწარმეო უნარების განვითარებაში ახალგაზრდა ევროპელ მეწარმეთა წარმატებული ისტორიების საფუძველზე. (გვ.14-15)
- გაეცანით გზამკვლევაში მოცემულ რესურსებს და მეთოდურ რეკომენდაციებს, რომლებიც მოსწავლეებში სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებაში დაგეხმარებათ. (გვ.16)
- პირველ ბლოკში წარმოდგენილი სამუშაო ფურცელი 2 მოსწავლეებს დაეხმარება, რომ შეაფასონ საკუთარი უნარები, თვისებები, შესაძლებლობები და განსაზღვრონ, რამდენად შეუძლიათ იყვნენ წარმატებული მეწარმეები (გვ.17).

ბლოკი 2. შემოქმედებითობა და იდეების გენერირება

მეორე ბლოკი დაგეხმარებათ მოსწავლეებში შემოქმედებითობისა და ინოვაციური იდეების გენერირების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

მეორე ბლოკის მიმართება დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან.



მეორე ბლოკში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვანძო კითხვებს:

როგორ უწყობს ხელს წარმატებული მეწარმეობრივი საქმიანობა და ინოვაციური იდეების გენერირება ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას/განვითარებას?

რა მნიშვნელობა აქვს კრეატიული და ინოვაციური იდეების გენერირებას და რეალიზებას ინდივიდისთვის, თემისთვის, მთლიანად საზოგადოებისთვის?

- სასკოლო გარემოში მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების, სტიმულირებისა და წახალისებისთვის გაეცანით და დაგეგმეთ შემდეგი მეთოდური ორიენტირები და აქტივობები: ცხრილის შევსება ადამიანების ყოველდღიური შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ და „გონებრივი იერიში“ (brainstorming) სოციალური ან ბიზნესინიციატივის იდეების გენერირებისთვის და ა.შ., რაც მოსწავლეებს სამომავლოდ სხვადასხვა საზოგადოებრივ საქრობებაზე/პრობლემაზე ზრუნვაში დაეხმარებათ. (გვ. 18-19)
- მოსწავლეებს გააცანით და გააანალიზეთ კრეატიული და ინოვაციური იდეების გენერირების პროცესში გასათვალისწინებელი ბიზნესრჩევები, რომლებიც მომგებიანი/ორიგინალური ბიზნესიდეების გენერირებაში დაეხმარებათ. (გვ.20)
- პირველ სამუშაო ფურცელში წარმოდგენილი მაორგანიზებული ცხრილები დაგეხმარებათ მოსწავლეები დააფიქროთ პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე შემოქმედებითობის კონკრეტულ გამოვლინებებზე - როდის არიან ადამიანები შემოქმედებითები, როგორ იყენებენ და რა სარგებელს იღებენ შემოქმედებითობისგან? (გვ. 21)
- თითოეულ მაორგანიზებულ ცხრილს თან ახლავს პასუხების ფურცელი, რომლებიც დაგეხმარებათ თავადაც შესთავაზოთ მოსწავლეებს მაგალითის სახით შემოქმედებითობის კონკრეტული გამოვლინებები. (გვ. 22)
- ყინულის ლღობის აქტივობები დაგეხმარებათ ხელი შეუწყოთ ერთი მხრივ, მოსწავლეებში ინოვაციური იდეების ფორმირების/გენერირების პროცესს, მეორე მხრივ კი, ფუნქციური უნარების განვითარებას (კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება). (გვ. 23-24)
- რეკომენდაციები სქემის შესავსებად:
 - სთხოვეთ მოსწავლეებს ცენტრალურ უჯრაში ჩაწერონ კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრასაც გადაწყვეტენ.
 - სთხოვეთ მოსწავლეებს მოიფიქრონ პრობლემასთან დაკავშირებული ესა თუ ის ასპექტი. ეს შეიძლება იყოს: დასახელებული პრობლემის გამოვლინებები, პრობლემით გამოწვეული არასასურველი შედეგები, ხელშემწყობი ფაქტორები და, რაც მთავარია, ამ პრობლემის კრეატიულად გადაჭრის გზები.
 - სთხოვეთ მოსწავლეებს შეაფასონ, რამდენად რეალისტური და ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხოა პრობლემის გადაწყვეტის მათ მიერ განსაზღვრული გზა.

ბლოკი 3. ინტელექტუალური საკუთრება და მეწარმეები

მესამე ბლოკი დაგეხმარებათ მეწარმეობრივი საქმიანობისას ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერებაში.

მესამე ბლოკის მიმართება დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან.



მესამე ბლოკში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვანძო კითხვებს:

რატომ არის მნიშვნელოვანი მეწარმეობრივი საქმიანობისას ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა?

რომელი ობიექტები უწყობს ხელს წარმატებულ მეწარმეობრივ საქმიანობას და როგორ (ბრენდი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნა)?

რატომ არის მნიშვნელოვანი მეწარმეობრივი საქმიანობისას საავტორო უფლებების დაცვა?

რატომ და როგორ უზრუნველყოფს კომერციული საიდუმლოების შენახვა მეწარმეობრივი საქმიანობის მდგრადობას?

- მესამე ბლოკში წარმოდგენილი აქტივობის იდეები დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მნიშვნელობა. (გვ. 26)
- ბიზნესის შესახებ საბაზისო ცოდნის მისაღებად მოსწავლეებს გააცანით თეორიული მასალა ინტელექტუალური საკუთრებისა და უნიკალური გასაყიდი წინადადების სახეების (ბრენდი, დიზაინი და სასაქონლო ნიშანი) შესახებ. (გვ. 27)
- გააცანით მოსწავლეებს თეორიული მასალა სასაქონლო ნიშნის, როგორც ბრენდის ერთერთი ძირითადი მახასიათებლის მნიშვნელობისა და დაცვის მექანიზმების შესახებ, რაც მოსწავლეებს მათი ბიზნესიდეებისთვის უფექტური დიზაინის სასაქონლო ნიშნის შექმნის მნიშვნელობაზე დააფიქრებს. (გვ. 28-29)
- გააცანით მოსწავლეებს თეორიული მასალა დიზაინის არსის, ფორმების, მნიშვნელობისა და დაცვის მექანიზმების შესახებ, რაც მოსწავლეებს მათი ბიზნეს იდეის ფარგლებში ორიგინალური დიზაინის პროდუქტის/მომსახურების შექმნის მნიშვნელობაზე დააფიქრებს. (გვ. 30-31)
- გააცანით მოსწავლეებს თეორიული მასალა საავტორო უფლების არსზე, დაცვის ობიექტებზე, მახასიათებლებზე, მნიშვნელობასა და იმ უპირატესობებზე/უფლებებზე, რომლებსაც საავტორო უფლების რეგისტრაცია ანიჭებს მათ, როგორც ბიზნესიდეის მფლობელებს. (გვ. 32-33)
- გააცანით მოსწავლეებს გამოწაკისები საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რაც მოსწავლეებს საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე დააფიქრებს. (გვ. 33)
- გააცანით მოსწავლეებს თეორიული მასალა საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, რომლის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის, მისი ხარისხის, თვისების ან რეპუტაციის შესახებ. (გვ. 34-35)
- გააცანით მოსწავლეებს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მექანიზმები საქართველოში კონკრეტული მაგალითის - „ქვევრის“ საფუძველზე. (გვ. 35)
- გააცანით მოსწავლეებს თეორიული მასალა გამოგონების დაპატენტების მნიშვნელობაზე, გზებსა და საშუალებებზე. იმუშავეთ პრაქტიკულ მაგალითზე კონკრეტული გამოგონების (მოწყობილობა, რომელიც ჭამის დროს ცხოველის ყურებს დასვრისგან იცავს) ფორმულაზე, რითაც მოსწავლეებს დააფიქრებთ სამომავლოდ მათი იდეების დაპატენტების მნიშვნელობაზე. (გვ. 36-37)
- გააცანით მოსწავლეებს კომერციული საიდუმლოების არსი. იმსჯელეთ/გაანალიზეთ მისი შენახვის მნიშვნელობა კომპანიის კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებასა და ბიზნესის წარმატებისთვის. (გვ. 38-39)
- მესამე ბლოკის ბოლოს წარმოდგენილი ქვიზი დაგეხმარებათ ბლოკის ფარგლებში ნასწავლი მასალის შეჯამებასა და რეფლექსიაში. (გვ. 40)

ბლოკი 4. განახორციელება

მეოთხე ბლოკი დაგეხმარებათ კრეატიული და ინოვაციური ბიზნესგეგმის შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მეოთხე ბლოკის მიმართება დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან.



მეოთხე ბლოკში ბლოკში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვანძო კითხვებს:

რა და როგორ გვეხმარება კრეატიული და ინოვაციური ბიზნესგეგმის შემუშავებაში?

რატომ და როგორ უწყობს ხელს ეფექტური ბიზნესგეგმის შემუშავება კრეატიული იდეების საქმედ ქცევას?

- ბიზნესგეგმებზე მუშაობის დაწყებამდე შესთავაზეთ მოსწავლეებს, შეავსონ სამუშაო ფურცელი 1 „იცნობდე შენს მომხმარებელს“. კლასში შეტანამდე სასურველია, წინასწარ თავადაც მოსინჯოთ ამ სამუშაო ფურცლის შევსება. (გვ. 42)
- გააცანით მოსწავლეებს ბიზნესგეგმის შედგენის ინსტრუქცია, რაშიც დაგეხმარებათ გზამკვლევაში მოცემული მეთოდური ორიენტირები და ბიზნესგეგმის შაბლონი/ფორმა. გაუწიეთ მოსწავლეებს (მოსწავლეთა წყვილებს) დახმარება ბიზნესგეგმაზე მუშაობის პროცესში, პერიოდულად გადაამოწმეთ ნამუშევრები და მიეცით ადწერიითი უკუკავშირი. (გვ. 43-50)

ბლოკი 5. თქვენი იდეის გაყიდვა

მეხუთე ბლოკი დაგეხმარებათ ბიზნესგეგმის ეფექტური პრეზენტაციის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება/განვითარებაში პოტენციური ინვესტორების მოსაზიდად.

მეხუთე ბლოკის მიმართება დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოსთან.



მეხუთე ბლოკში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვანძო კითხვებს:

რატომ არის მნიშვნელოვანი ბიზნესგეგმის ეფექტური პრეზენტაცია პოტენციური ინვესტორების მოსაზიდად?

რა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტთან თანამშრომლობა წარმატებული მეწარმეობრივი საქმიანობისთვის?

რა მნიშვნელობა აქვს საავტორო უფლებების დაცვას იდეის გაყიდვის პროცესში?

- გააცანით მოსწავლეებს მინიპრეზენტაციების კონკრეტული მაგალითები. იმსჯელეთ ეფექტური პრეზენტაციების მნიშვნელობაზე საკუთარი იდეების გაყიდვაში. სთხოვეთ მოსწავლეებს თავად მოამზადონ მინიპრეზენტაციები მათ მიერ მოფიქრებული ბიზნესიდეების პოტენციურ ინვესტორებთან წარსადგენად. (გვ. 51-53)
- მეხუთე ბლოკში წარმოდგენილი მინიპრეზენტაციის შაბლონი მოსწავლეებს დაეხმარება მომგებიანი მინიპრეზენტაციების მოდელების შექმნაში. (გვ. 54)